

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე პ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„26“ 12 „ 2014 წელი

ეგზ. № 2

გორის მუნიციპალიტეტის

2012-2013 წლების საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში აქ 35/00

2014 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
გორის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	4
მასშტაბის შეზღუდვა	10
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	10
ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა -ანგარიშგება	10
სახელმწიფო შესყიდვა	18
სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	19
გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები	20
სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად	21
რკინიგზის სადგურის დასახლების საკანალიზაციო სამუშაოები	22
ქალაქის ძველი უბნის რეაბილიტაცია	24
თეატრის რეკონსტრუქცია	28
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამები“	29
ნავის კონტეინერების შესყიდვა	31
დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია	32
ქუჩების გარე და დეკორატიული განათების ექსპლუატაცია	33
დაგვა-დასუფთავება	34
სტადიონის რეკონსტრუქცია	34
ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხარვეზები	35
დღგ-ის გადასახადი	36
გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება	37
სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები	38
სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი	39
მიუღებელი იჯარის ქირა	41
მშენებლობის ნებართვები	42
არამიზნობრივი ხარჯი	43
მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა	43
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა	46
აუდიტის დასკვნა	51
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	51
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	51

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის შემოწმება.
- ✓ მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებების ეკონომიურობისა და მართლზომიერების შეფასება.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის სისტემის იმდაგვარი დანერგვა და ზედამხედველობა, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ISSAI), რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის მიერ გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და

კომერციული საიდუმლოებების დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას, არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რაც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

გორის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

გორის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის¹, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

შესამოწმებელ პერიოდში,² გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაყოფილი იყო 27 ტერიტორიულ ერთეულად, სადაც გაერთიანებულია 118 დასახლებული პუნქტი

¹ საანგარიშო პერიოდში მოქმედებდა აღნიშნული ორგანული კანონი.

² 2014 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეიქმნა 2 დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქ გორის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემის გორის მუნიციპალიტეტი.

(სოფელი) და ქალაქი გორი. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რიცხოვნობა 2013 წლის მონაცემებით შეადგენდა 157,3 ათას კაცს. მათ შორის: ქალაქად – 58,4 ათასი, სოფლად – 98,9 ათასი; მთლიანად მუნიციპალიტეტი მოიცავს 128 000 ჰექტარ ფართობს, აქედან ქ. გორის ტერიტორიაა 1275 ჰექტარი.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა;
- მუნიციპალური ქონების შექმნა, სარგებლობა და განკარგვა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა.

❖ ბიუჯეტები

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით, 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 71 646,3 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა - 76 029,0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

დასახელება	2012	2013	ჯამი
შემოსულობები	43 919,3	27 727,0	71 646,3
შემოსავლები	42 897,1	27 351,4	70 248,5
არაფინანსური აქტივების კლება	1 022,2	375,6	1 397,8
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	47 172,0	28 857,0	76 029,0
ხარჯები	32 742,0	22 548,3	55 290,3

არაფინანსური აქტივების ზრდა	14 289,8	6 147,0	20 436,8
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0	0	0
ვალდებულებების კლება	140,2	161,7	301,9
ნაშთის ცვლილება	-3252,7	-1130	-4 382,70


➤ შემოსულობები

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების შესაბამისად, 2012-2013 წლებში შემოსულობების 98% მოიცავს შემოსავლებს, ხოლო 2% - არაფინანსური აქტივების კლებას.

შემოსულობები 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, შემცირებულია 16 192,3 ათასი ლარით.

2012-2013 წწ. შემოსულობების დინამიკა

(ათასი ლარი)



2013 წელს შემოსულობების შემცირება განპირობებულია ძირითადად გრანტების მაჩვენებლის შემცირებით (ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები).

➤ **გადასახდელები**

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშების თანახმად, 2012-2013 წლებში გადასახდელების 72,7% მოიცავს ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდა - 26,9%-ია, ხოლო ვალდებულებების კლება - 0,4%.


2012 წელთან შედარებით, გადასახდელები 2013 წელს შემცირებულია 18 315,0 ათასი ლარით, მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8 142,8 ათასი ლარით.

• **ხარჯები**

ხარჯები 2013 წელს შემცირებულია 10 193,7 ათასი ლარით³ (31,1%), მათ შორის: 8 437,8 ათასი ლარით ნაკლებია სხვა ხარჯების, ხოლო 5 720,0 ათასი ლარით - ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების ხარჯი; სოციალური უზრუნველყოფა გაიზარდა 1 536,3 ათასი ლარით და სუბსიდია - 2 302,5 ათასი ლარით.

ხარჯების დინამიკა

(ათასი ლარი)



წარმოდგენილი მონაცემებით, 2013 წელს ხარჯებიდან გაიზარდა „შრომის ანაზღაურების“, „სუბსიდიის“ და „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლები.

³ ხარჯები: 2012 წელი - 32742,0 ათასი ლარი, 2013 წელი - 22548,3 ათასი ლარი.

➤ **ფულადი სახსრების ნაშთები**


მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები 2012 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 6 928,0 ათას ლარს, 2013 წლის 1 იანვრისათვის - 3 467,7 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის - 2 540,3 ათას ლარს.

➤ **არაფინანსური აქტივების ზრდა**

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის მაჩვენებელი, წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 2013 წელს შემცირებულია 57%-ით, ანუ 8 142,8 ათასი ლარით. აქედან, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები - 8 830,5 ათასი ლარით ნაკლები, ხოლო საკუთარი შემოსავლები 687,7 ათასი ლარით მეტია დახარჯული.

➤ **ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოდგენილია 2012-2013 წლების ჯამური მაჩვენებლით.



2012-2013 წლებში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებელი 29%-ია, საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 20,7%, ხოლო საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხვედრითი წილი - 16,6%, რომელიც ძირითადად წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფას მოიცავს. გადასახდელები თავდაცვასა და ჯანმრთელობის დაცვაზე - 1%-ზე ნაკლებია.

❖ მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

გორის მუნიციპალიტეტის მიერ, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე, ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და პროექტებისათვის საჭირო სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 461 გამარტივებული შესყიდვის, 153 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის, 127 ელექტრონული ტენდერისა და 12 კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით.

(ათასი ლარი)

შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულ ების რაოდენობა	ფაქტობრი ვად გადახდი ლი თანხა	ხელშეკრულების რაოდენობა	ფაქტობრ ივად გადახდი ლი თანხა	სულ ხელშეკრულ ების რაოდენობა	სულ თანხა
	2012 წელი		2013 წელი			
გამარტივებული შესყიდვა	266	14 875,8	195	3 412,3	461	18 288,1
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	83	540,6	70	666,5	153	1 207,1
ელექტრონული ტენდერი	72	11 264,4	55	6 056,2	127	17 320,6
კონსოლიდირებული ტენდერი	5	223,3	7	192,9	12	416,2
სულ:	426	26 904,1	327	10 327,9	753	37 232,0

❖ მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა)იპ-ები

გორის მუნიციპალიტეტი სუბსიდიის ფორმით აფინანსებს 77 ერთეულ არასამეწარმეო, არაკომერციულ იურიდიულ პირს, საიდანაც თვითმმართველობის დაფუძნებულია 75.

მასშტაბის შეზღუდვა

2013 წელს ქ. გორის მუნიციპალიტეტიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მიერ ამოღებულია 2012 წელს დადებული 30 ხელშეკრულება, თანდართული დოკუმენტაციით (სახელშეკრულებო ღირებულება - სულ 2 536 ათასი ლარი). კერძოდ: №№98,130,118,119,127,148,190,207,229,249,253,53,89,123,157,181,192,232,233,240,84,279,292, 296,318,321,298,251,63,75 ხელშეკრულებები.

აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენილობის გამო, მათი შესწავლა აუდიტის მიმდინარეობისას ვერ მოხერხდა.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

ბიუჯეტის პროექტის შედგენა, ბიუჯეტის შესრულება და აღრიცხვა - ანგარიშგება

მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენის, ბიუჯეტის შესრულებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების კუთხით გაწეული საქმიანობა, რიგ შემთხვევებში, არ შეესაბამება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებს, კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვერ წარმოადგინა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2012-2013 წლების პრიორიტეტების შესაბამისი დოკუმენტების მომზადების შესახებ⁴.

- გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს მხარჯავ დაწესებულებებში არ გაუგზავნია და შესაბამისად, არ მიუღია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, ასიგნებებისა და დასაქმებულთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით⁵. აქედან გამომდინარე, ბიუჯეტებში ისე ჩაიდო და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებელი, რომ დადგენილი არ იყო მხარჯავი

⁴საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 76, პუნქტი 3.

⁵საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77, პუნქტი 3.

დაწესებულებების საშტატო განრიგი და მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა.

- მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციებზე 2012-2013 წლებში სუბსიდიის ფორმით გაწეულია სულ 14 385,7 ათასი ლარის ხარჯი. ბიუჯეტის დამტკიცებისა და ცვლილების განხორციელების პარალელურად, მათი დეტალური ბიუჯეტი თანხმდება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და მოიცავს ინფორმაციას მხოლოდ წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯების შესახებ, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

არის შემთხვევები, როდესაც საბიუჯეტო დაფინანსების (სუბსიდია) დამტკიცებისა თუ კორექტირების შემდეგ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვები, ანუ დეტალური ბიუჯეტები დამტკიცებული არ არის, ან დამტკიცებულია ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებებისაგან განსხვავებული მოცულობით.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების საფუძველია გამგეობის მიერ საკრებულოში წარდგენილი განმარტებითი ბარათი, რომელიც არ შეიცავს საჭირო დასაბუთებას გამგეობის მიერ მოთხოვნილი ცვლილებების შესახებ და მასში მხოლოდ საბიუჯეტო თანხების მოძრაობაა აღწერილი.

- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებას კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო⁶. საანგარიშო პერიოდის შედეგები ასეთია:

- 2012 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას დააკლდა 513,2 ათასი ლარი (გეგმა - 44 432,5 ათასი ლარი; ფაქტობრივი შესრულება- 43 919,3 ათასი ლარი), ხოლო გადასახდელებს - 3 814,4 ათასი ლარი (გეგმა - 50 986,4 ათასი ლარი; ფაქტობრივი შესრულება - 47 172,0 ათასი ლარი). გადასახდელებიდან 2 330,9 ათასი ლარით არ შესრულდა სხვადასხვა კაპიტალური ხარჯების, ხოლო 1 042,0 ათასი ლარით - არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი.

⁶ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 81, პუნქტი 1.

- 2013 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებას დააკლდა 4 373,8 ათასი ლარი (გეგმა - 32 100,8 ათასი ლარი; ფაქტობრივი შესრულება - 27 727,0 ათასი ლარი), ხოლო გადასახდელებს - 6 147,4 ათასი ლარი (გეგმა - 35 004,4 ათასი ლარი; ფაქტობრივი შესრულება - 28 857,0 ათასი ლარი).⁷ გადასახდელებიდან 4 983,8 ათასი ლარი დააკლდა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის შესრულებას, საიდანაც 4 805,8 ათასი ლარი, შეუსრულებელი სამუშაოების გამო, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიუღებელი თანხაა.

- საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შეუსრულებლობა ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტების დაუსრულებლობის გამო ასიგნებების აუთვისებლობამ განაპირობა, რის გამოც მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ დადგენილ პერიოდში ვერ მიიღო ბიუჯეტით განსაზღვრული მატერიალური სიკეთე.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად⁸, ბიუჯეტის შეუსრულებლობისათვის არ განუხილავს აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებამოსილების⁹ შესაბამისად, არ მოუხდენია ანგარიშის შეფასება¹⁰.

• მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების კვარტალური ანგარიშები არ მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. დოკუმენტი არ იძლევა ანალიზისა და შედარების საშუალებას, რამდენად შესრულდა მოცემულ პერიოდში დაგეგმილი ღონისძიებები¹¹.

⁷ გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები.

⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1.

⁹ დასახელებული კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

¹⁰ საკრებულოს 2013 წლის 11 მარტის №40 და 2014 წლის 14 მარტის №33 განკარგულებებით ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები დამტკიცებულია წარდგენილი სახით, შეფასების გარეშე.

¹¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 85, მუხლი 86.

- 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტისათვის სხვადასხვა ფონდებიდან გამოყოფილი და აუთვისებული თანხები - სულ 291,0 ათასი ლარი¹², ხაზინის ერთიან ანგარიშზე დაბრუნებულია 2014 წლის 28 ივლისს.

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებებიდან („სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“), შესყიდვებისას წარმოქმნილი ეკონომიისა და დაუსრულებელი სამუშაოების გამო, სრულად არ არის ათვისებული და აუდიტის მიმდინარეობისას ნაშთად ირიცხება 532,9 ათასი ლარი: აქედან, 2012 წელს მიღებული თანხებიდან - 159,7 ათასი ლარი, 2013 წელს - 373,2 ათასი ლარი.

- საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №945 და 19 ოქტომბრის №961 ბრძანებულებების შესაბამისად, გაიზარდა თვითმმართველობის ცალკეული თანამდებობის პირის ხელფასის ზღვარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 ნოემბრის №39 და №40 დადგენილებებით, თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები გაზრდილი სახით დამტკიცდა, ხოლო დადგენილებებს მიეცა უკუქმედების ძალა და მისი ქმედება გავრცელდა 2012 წლის 19 და 12 ოქტომბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე. ხელფასების ზრდის მიხედვით, მუნიციპალიტეტს არ შეუცვლია და არ დაუმტკიცებია ადგილობრივი ბიუჯეტის პარამეტრები და ფაქტობრივად გაზრდილი ხელფასების სხვაობა გაიცა 2013 წლის იანვარში. სულ ხელფასის სხვაობის სახით გაცემულმა თანხამ შეადგინა 166,7 ათასი ლარი, მათ შორის, საკრებულოს მოსამსახურეებზე - 27,8 ათასი ლარი, გამგეობის მოსამსახურეებზე - 138,9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა გადაწყვეტილება ხელფასების გაზრდის შესახებ, თანაც უკუქმედების ძალით, მიიღო იმ პირობებში, როცა ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებები ასახული არ იყო და არც საჭირო თავისუფალი ნაშთი გააჩნდა. აღნიშნული ქმედებით, მუნიციპალიტეტმა ფინანსური ვალდებულება აიღო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ზევით, რაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, დაუშვებელია¹³.

¹² 2012 წელი - 259,1 ათასი ლარი; 2013 წელი - 31,9 ათასი ლარი.

¹³ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი: მუხლი 18, პუნქტი 3.

- 2012-2013 წლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფ მხარჯავ დაწესებულებებს შეეძლოთ გაეზარდათ მათთვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები, არა უმეტეს იმავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა¹⁴.

საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული ბიუჯეტით, „შრომის ანაზღაურების“ ჯამური მუხლი გორის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენდა 4 972,8 ათას ლარს, რაც დაზუსტებული ბიუჯეტით გაიზარდა 874,4 ათასი ლარით და 5 847,2 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის წლიური შესრულების შესაბამისად, გაცემული ხელფასი 5 836,0 ათასი ლარია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტს შეეძლო ხელფასის ფონდი გაეზარდა 4972,8 ათასი ლარის 1/12 ნაწილით, მაგრამ ნაცვლად დასაშვები 414,4 ათასი ლარისა, ფონდი გაზრდილია 863,2 ათასი ლარით, ანუ კანონით დაშვებულ ნორმაზე 448,8 ათასი ლარით მეტი თანხით.

- საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ იღებენ სახელფასო ანაზღაურებას, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, ამომრჩევლებთან შესახვედრად, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის საანგარიშო პერიოდში გაცემულია 244,8 ათასი ლარი, რაც ჩამოწერილია ხარჯებში. მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს გადაწყვეტილება¹⁵ საკრებულოს წევრების მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ. დადგენილებით განსაზღვრულია ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი, თუმცა ნუსხა არასრულყოფილია.

- 2012 წელს გორის მუნიციპალიტეტში პრემიის სახით გაცემულია 621,8 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 772,2 ათასი ლარი, რაც აუდირებულ პერიოდში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხის შესაბამისად 37,3 % და 27,8 %-ს შეადგენს. პრემირების წესი მუნიციპალიტეტს არ განუსაზღვრავს.

¹⁴ საქართველოს კანონი „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“: მუხლი 24, პუნქტი 3.

საქართველოს კანონი „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“: მუხლი 22, პუნქტი 3.

¹⁵ 2013 წლის 10 მაისის №28 დადგენილება.

2012 წლის იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით, თვითმმართველი ერთეულის მაღალი თანამდებობის პირებს (საკრებულოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, გამგებელი, გამგებლის მოადგილე) პრემია მიღებული აქვთ ყოველთვიურად. აღნიშნულ პერიოდში გამგებელმა აიღო 21,2 ათასი ლარის პრემია (ხელფასის 100%), საკრებულოს თავმჯდომარემ - 18,1 ათასი ლარის პრემია (ხელფასის 66%). გამგებლის სამმა მოადგილემ პრემიის სახით მიიღო 47,0 ათასი ლარი (ხელფასის 163%), მათ შორის, ივნისის თვეში თითოეულ მოადგილეს სახელფასო თანხასთან ერთად (განაკვეთი 0,9 ათასი ლარი) დაერიცხა 2,5 ათასი ლარის, აგვისტოში - 2,4 ათასი ლარის, ხოლო სექტემბერში - 2,4 ათასი ლარის საპრემიო თანხები.

2013 წელს გაცემულია 150,4 ათასი ლარით მეტი საპრემიო თანხა, ვიდრე 2012 წელს.

2013 წელს მუნიციპალიტეტის გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურეებზე პრემიის სახით გაცემულია 15,7 ათასი ლარი, თუმცა ამ კატეგორიის თანამშრომელთა ანაზღაურების საბიუჯეტო მუხლი პრემირებას არ ითვალისწინებს.

- 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტმა გასწია 160,7 ათასი ლარის წარმომადგებლობითი ხარჯი¹⁶, მათ შორის 42,0 ათასი ლარი - სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან, ხოლო 118,7 ათასი ლარი - საკუთარი შემოსავლებიდან. სხვა ქვეყნების დელეგაციების ოფიციალური მიღებების გარდა, მნიშვნელოვანი თანხებია დახარჯული სახელმწიფო უწყებების სხვადასხვა თანამდებობების პირების კვების ორგანიზებისათვის. მუნიციპალიტეტის წინაშე მდგომი პრობლემებისა და მოსახლეობის სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, გაწეულია არაგონივრულად მაღალი დანახარჯი, რომლის გამოყენებაც სხვა მიმართულებებით შეიძლებოდა.

- კონკრეტული პერიოდისათვის მოქმედი კანონმდებლობით, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე აკრძალულია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული

¹⁶ 2012 წელი -128,3 ათასი ლარი; 2013 წელი - 32,4 ათასი ლარი.

სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში, ასევე იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტით¹⁷.

საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების თარიღი 1-ლი ოქტომბერი დანიშნა 2012 წლის 1-ელ აგვისტოს¹⁸, რითაც შეიზღუდა პროექტებისა და საბიუჯეტო პროგრამების ცვლილებები. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 10 აგვისტოს №34 დადგენილებით განხორციელებული ცვლილებებით, ადგილობრივ ბიუჯეტში გაზრდილია შემდეგი პროექტების დაფინანსება:

- ინფრასტრუქტურული პროექტები - 45,9 ათასი ლარი;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია - 45,0

ათასი ლარი;

- გზების რეაბილიტაცია - 25,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 26 ივლისის №36 დადგენილების შესაბამისად, ანალოგიური დარღვევითაა დამატებული ან გაზრდილი შემდეგი პროექტები და საბიუჯეტო პროგრამები¹⁹:

- ყიფიანის ქუჩის რეაბილიტაცია (ჯავახიშვილის ქუჩიდან ტყვიავის ქუჩამდე მონაკვეთი) - 204,3 ათასი ლარი;

- კარალეთი-ქვეშის გზის რეაბილიტაცია - 2 239,9 ათასი ლარი;

- ქალაქ გორში გოგებაშვილის ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 55,0 ათასი ლარი და სხვ.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტმა, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით, მიიღო გადაწყვეტილება სულ 2 742,4 ათასი ლარის ღირებულების დამატებული პროექტებისა და გაზრდილი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების შესახებ.

¹⁷ საქართველოს საარჩევნო კოდექსი: მუხლი 49, პუნქტი 3.

¹⁸ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 აგვისტოს №01/08/01 განკარგულება.

¹⁹ საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი 27 ოქტომბერი დაინიშნა 2013 წლის 4 ივლისს, №04/07/01 განკარგულებით.

• „საქართველოს მთავრობის ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 ივლისის №1496 განკარგულების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტს წერეთლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელების მიზნით, დამატებით გამოეყო 900,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ იმავე დღეს მიიღო ბრძანება №1-513 „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილებების შეტანის შესახებ“, სადაც აღნიშნულია, რომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები გაიზარდა 900,0 ათასი ლარით. აღნიშნული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ვერ ჩაითვლება ბიუჯეტის კანონმდებლობით დაშვებულ ცვლილებად, რადგან ამისათვის საკრებულოს ნორმატიული აქტი - დადგენილებაა საჭირო.

2012 წლის 20 აგვისტოს დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების გეგმით, შესაბამისი დანაყოფის ღირებულება გაზრდილია 970,0 ათასი ლარით. შესყიდვების გეგმა დამტკიცებულია ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილების გარეშე და არ შეესაბამება მის პარამეტრებს, რითაც დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“²⁰.

სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ცვლილების პარალელურად, 2012 წლის 3 სექტემბერს შპს „იბოლიასთან“ გაფორმდა №280 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 750,2 ათასი ლარი. ხელშეკრულების საგნად განისაზღვრა ქუჩებისა და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები ქ. გორში, წერეთლისა და ჯულაშვილის ქუჩებზე.

აღნიშნული პერიოდისათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ უკვე დანიშნული იყო საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღი - 1-ლი ოქტომბერი²¹.

²⁰ მუხლი 4, პუნქტი 4.

²¹ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 1 აგვისტოს №01/08/01 განკარგულება.

მუნიციპალიტეტმა სავარაუდოდ არასწორად გამოიყენა საბიუჯეტო კოდექსით²² მინიჭებული უფლებამოსილება ბიუჯეტის დამტკიცებამდე შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რადგან ეს ქმედება უკვე შეზღუდული იყო უფრო მაღალი იერარქიის ორგანული კანონით²³. გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების გაფორმებით დარღვეულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, დამატებით გამოყოფილი 900,0 ათასი ლარი ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 9 ნოემბრის №37 დადგენილებით. ბიუჯეტის ცვლილების დამტკიცებამდე შპს „იბოლიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საკასო ხარჯმა 685,9 ათასი ლარი შეადგინა²⁴, რაც არ ყოფილა ასახული ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში.

საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, დარღვეულია ბიუჯეტის ყოვლისმომცველობის პრინციპი²⁵, რომლის მიხედვით, საქართველოს საბიუჯეტო სისტემის თითოეულმა მონაწილემ საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე უნდა უზრუნველყოს ბიუჯეტის ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილების სრულყოფილად ასახვა შესაბამის ბიუჯეტებში.

სახელმწიფო შესყიდვა

გორის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელებისას, რიგ შემთხვევებში დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011

²² მუხლი 69, პუნქტი 5.

²³ საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

²⁴ 05.09.2012 - 650,0 ათასი ლარი; 11.10.2012 - 35,9 ათასი ლარი.

²⁵ მუხლი 4, პუნქტი 1(ა).

წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მოთხოვნები და სხვა მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმები, კერძოდ:

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა

➤ 2012 წელს გორის მუნიციპალიტეტმა, კორექტირებული შესყიდვების გეგმით დადგენილი ჯამური ღირებულების ზემოთ, შეიძინა 2,8 ათასი ლარის ღირებულების საავტომობილო საწვავი²⁶.

➤ მუნიციპალიტეტის მიერ მრავალწლიანი შესყიდვების დაგეგმვის საკითხი ხასიათდება სისტემური ხარვეზით, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში განხორციელებულია სულ 12 სახელმწიფო შესყიდვა²⁷ - საერთო ღირებულებით 6 002,3 ათასი ლარი, სადაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სამუშაოების მიწოდებისა და ანგარიშსწორების ვადები მომდევნო საბიუჯეტო წელში გადადის. ამ შემთხვევებში ხელშეკრულებების დაფინანსება ხორციელდებოდა, მათ შორის, მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, რაც მუნიციპალიტეტის მხრიდან კონკრეტული შესყიდვების მრავალწლიანი ფორმით დაგეგმვას მოითხოვდა. ნაცვლად მრავალწლიანი შესყიდვისა, მუნიციპალიტეტში ერთწლიანი შესყიდვის ფორმით განხორციელებულია შენობა-ნაგებობების, გზებისა და წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, შენობებისა და ხიდების მშენებლობა და სხვ.

მრავალწლიანი შესყიდვების დაგეგმვის ფორმის უგულებელყოფა შეიცავს გარკვეულ რისკებს. მაგალითად, დაფინანსების მომდევნო წლის ბიუჯეტში გათვალისწინებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი მხარე ვერ შეძლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

²⁶ გეგმა - 199,4 ათასი ლარი; ფაქტობრივი შესრულება - 202,2 ათასი ლარი.

²⁷ 2012 წლის ხელშეკრულება №283; 2013 წლის ხელშეკრულებები №№208,215, 216, 217, 218, 228, 234, 237,249,293.

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვები

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებების საფუძველზე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით განხორციელდა 32 გამარტივებული შესყიდვა, საერთო ღირებულებით 1 533,5 ათასი ლარი²⁸.

არსებობს მაღალი ალბათობა, რომ 13 შემთხვევაში²⁹ მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სახის მომსახურების/საქონლის შესყიდვა, ღირებულებით 73,6 ათასი ლარი, არ წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას. შესყიდვები, რომელთა წინასწარი დაგეგმვა და ელექტრონული საშუალებით შესყიდვა რეალურად შესაძლებელი იყო, განხორციელებულია მონეტარული ზღვრების დარღვევით, რამაც, სავარაუდოდ, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური ხარჯვა გამოიწვია. მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულების წარმოდგენა, თუ რატომ არ მოხდა მოსალოდნელი შესყიდვების წინასწარი განსაზღვრა და გეგმაში გათვალისწინება. მაგალითად:

მუნიციპალიტეტმა 2013 წელს ქ. გორში ქუჩების დაგვა-დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანის მომსახურება შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, როცა შეეძლო ტენდერის გამოცხადება შესყიდვების გეგმის წინა წლის სექტემბერში დამტკიცებისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის წარდგენის შემდეგ³⁰. ასევე შესაძლებელი იყო სამგზავრო გადაზიდვებისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილების შესყიდვის (ტექმომსახურების) დაგეგმვა არა მიწოდების საჭიროების დადგომისას, არამედ წლის დასაწყისში, მომსახურების წლიურ ღირებულებაზე ტენდერის გამოცხადებით.

²⁸2012 წელი - 69,5 ათასი ლარი, 2013 წელი - 1 464,0 ათასი ლარი.

²⁹2012 წლის ხელშეკრულებები: №№270,288,290,307,316,317,319,327,333; 2013 წლის ხელშეკრულებები: №№1,2,49,276.

³⁰საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 4.

სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად

გორის მუნიციპალიტეტს, 2012 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, შესრულებული სამუშაოებისათვის არ მოუთხოვია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია³¹ და ანაზღაურება მოხდა შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების შესაბამისად. 2012 წლის 1-ლი ივლისის შემდეგ, 2012 წელს განხორციელებულია სამშენებლო სამუშაოების 28 გამარტივებული შესყიდვა და ანაზღაურებულია 5 149,7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 45 ხელშეკრულება და 2 891,7 ათასი ლარი.

გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე, აუდიტის პროცესში აუდიტის ჯგუფისაგან მერიასა და გამგეობას წერილობითი ფორმით მიეთითა მიმწოდებლებისათვის ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოთხოვნისა და შესაბამისი გაანგარიშების წარმოდგენის შესახებ. აუდიტის პროცესში მუნიციპალიტეტს მონაცემები ფაქტობრივი ხარჯების შესახებ არ მოუწოდებია.

როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტებით განსაზღვრული სამუშაოების ღირებულება განსხვავდება და ნაკლებია შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივ დანახარჯებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ მიმწოდებლებისათვის ზედმეტი თანხებია ანაზღაურებული.

აუდიტის მსვლელობისას, ფაქტობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, ვერ დადგინდა, რამდენად კანონთან შესაბამისად განხორციელდა სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება. ამდენად, საბიუჯეტო თანხების ზედმეტად გადახდა რეალურად განხორციელდა თუ არა და რა რაოდენობით, სამართალდამცავი ორგანოების მიერაა შესასწავლი.

³¹საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

რკინიგზის სადგურის დასახლების საკანალიზაციო სამუშაოები

რკინიგზის სადგურის დასახლებაში ახალი საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოებისათვის მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი³² - სავარაუდო ღირებულებით 1 250,3 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა და 950,0 ათასი ლარით გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ნოვა“³³. სატენდერო სამუშაოების მიწოდებისას გამოვლინდა მაღალი რისკის შემცველი შემდეგი გარემოებები:

შპს „ნოვას“ სატენდერო წინადადების ფასი თავდაპირველად შეადგენდა 1 217,9 ათას ლარს, რომელიც ვაჭრობის შედეგად შემცირდა 950,0 ათას ლარამდე. სატენდერო კომისიის მოთხოვნის საფუძველზე, პრეტენდენტმა დააზუსტა ფასების ცხრილი და ძირითადად ასფალტის მოწყობის სამუშაოების ღირებულების კლებით შეამცირა. კერძოდ: ვაჭრობის შედეგად ასფალტის მოწყობის სამუშაოების ფასი - 575,6 ათასი ლარი, შემცირებულია 279,8 ათას ლარამდე. პირველად ხარჯთაღრიცხვაში 1 კვ.მ 8 სმ-იანი ასფალტის საფარის მოწყობის ღირებულება, დარიცხვების გარეშე, იყო 35 ლარი, რომელიც დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში შემცირდა 51,4%-ით და შეადგინა 17 ლარი, ხოლო ზედნაღები ხარჯები და გეგმური მოგების მოცულობა გაზრდილია 5%-დან 8%-მდე.

ხელშეკრულების მიხედვით, სულ შესასრულებელი იყო 295,8 ათასი ლარის ასფალტის მოწყობის სამუშაოები, რაშიც მიმწოდებელს სავარაუდოდ დემპინგური ფასი ჰქონდა მითითებული. აღნიშნული პერიოდისათვის მუნიციპალიტეტი 1 კვ.მ 8 სმ-იანი ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაში საშუალოდ იხდიდა 26 ლარს. შეთანხმების საფუძველზე, ხარჯთაღრიცხვაში შევიდა ცვლილება და ასფალტირების სამუშაოები 251,3 ათასი ლარით შემცირდა. მიღებული ეკონომიით, ინერტული მასალის რაოდენობის გაზრდასთან ერთად, დამატებით განხორციელდა 300 გრძ.მ პოლიეთილენის მილის მონტაჟი.

³² SPA1130020279

³³ ხელშეკრულება №217, 22.10.2013.

სამუშაოების შესრულების პროცესში შპს „ნოვას“ მიმართვით მოთხოვნილია გასაჭრელი ტრანშეის სიგანის გაზრდა 0,7 მ-დან 1,3 მ-მდე იმ მოტივით, რომ ასფალტის დასაფრეზი დანადგარი გზის საფარს ასეთი სიგანით ჭრიდა. მუნიციპალიტეტი დაეთანხმა მიმწოდებლის შეთავაზებას და ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილება, რამაც მოსაჭრელი და გასატანი გრუნტის, ასევე ტრანშეის შესავსებად ქვიშის, ბალასტისა და ღორღის მოცულობების მნიშვნელოვანი მატება გამოიწვია და სამუშაოს ღირებულება დაახლოებით 130,0 ათასი ლარით გაზარდა.

ხელშეკრულების ცვლილების დოკუმენტაციას თან არ ერთვის დასაბუთება, თუ რა არგუმენტებზე დაყრდნობით დაეთანხმა მუნიციპალიტეტი მხოლოდ კონკრეტული სიგანის საფრეზი დანადგარის გამოყენებას, როცა იმავე თუ სხვა მახასიათებლების დანადგარის შერჩევა ტექნიკურად შესაძლებელი იყო. შედეგად, დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის³⁴ მოთხოვნები, რადგან ხელშეკრულების ცვლილებით შემსყიდველის პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ხელშეკრულების ცვლილებისას მუნიციპალიტეტმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 0,7 მ სიგანის ტრანშეაში მუშაობა იყო საშიში და იყო მიწის ჩამოშლის საფრთხე, თუმცა მხარეებს შორის ხელშეკრულების მასალებს თან არ ერთვის დოკუმენტაცია დამატებითი საფრთხის არსებობის შესახებ. პროექტის ავტორმა უსაფრთხოების ნორმები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გაითვალისწინა, რომლის მიხედვითაც შემსრულებელს ტრანშეა ხის ფიცრებით უნდა გაემაგრებინა.

შესრულებული სამუშაოების აქტების მიხედვით, ხელშეკრულების ჯამურმა ფასმა 848,7 ათასი ლარი შეადგინა. მუნიციპალიტეტმა არ გამოიყენა ხელშეკრულების ეკონომიით მიღებული თანხა - 101,3 ათასი ლარი მიწის სამუშაოებით დაზიანებული გზების ასფალტირებისათვის. დაკვეთის შემთხვევაში, შპს „ნოვა“ ვალდებული იყო ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში სამუშაოები შეესრულებინა საბაზროსთან შედარებით გაცილებით დაბალი ფასით.

³⁴ მუხლი 21, პუნქტი 5.

ხელშეკრულების შესრულების პროცესში სამუშაოების მიწოდების ვადა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლის სასარგებლოდ 3-ჯერ შეცვალა. 2014 წლის 28 თებერვალს და 22 აპრილს შეთანხმებები გაფორმებულია სამუშაოების მიწოდების ვადის ამოწურვის შემდეგ, ხოლო 18 ივნისის შეთანხმებით, შემსყიდველს სამშენებლო წუნის აღმოსაფხვრელად დამატებით 4 თვე მიეცა. არც ერთ შემთხვევაში შემსყიდველს ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები არ გამოუყენებია.

ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით, სახელშეკრულებო ფასის შემცირებითა და მიწოდების ვადების გადაწევით, ხელშეკრულების პირობები შემსყიდველის მიმართ მნიშვნელოვნადაა გაუარესებული. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაფერისი დასაბუთება, თუ რა გარემოება შეიძლება ჩაითვალოს მიღებული ზარალის საპირწონედ და რით აიხსნება მიმწოდებლის მიმართ, სავარაუდოდ, სუბიექტური დამოკიდებულება.

ქალაქის ძველი უბნის რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობის განკარგულებით³⁵, გორის მუნიციპალიტეტს გამოეყო 7 900,0 ათასი ლარი ქალაქის ძველი უბნის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციისათვის. პროექტი, რომლის ღირებულებამ 280,0 ათასი ლარი შეადგინა, მოიცავდა 58 საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციასა და ქუჩების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას.

➤ აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტმა 2012 წელს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გააფორმა 9 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 7 455,6 ათასი ლარი. აქედან 7 ხელშეკრულება დაიდო სს „სამშენებლო ტრესტი №3-თან“, საერთო ღირებულებით 5 705,4 ათასი ლარი და 2 ხელშეკრულება - შპს „იბოლიასთან“, საერთო ღირებულებით 1 750,2 ათასი ლარი.

³⁵ №213, 08.02.2012.

სამუშაოების დაჩქარებული ტემპებით ჩატარების მოტივით, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს ავანსად გადაურიცხა საერთო სახელშეკრულებო ღირებულების 98%³⁶ - 7 355,4 ათასი ლარი. საფინანსო ოპერაცია განხორციელდა კანონშეუსაბამოდ³⁷, ვინაიდან ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა წინასწარი ანგარიშსწორების პირობას და შესაბამისად, არც საბანკო გარანტიები იყო წარმოდგენილი. ხელშეკრულებების მე-7 პუნქტის თანახმად, ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

გორის მუნიციპალიტეტსა და სს „სამშენებლო ტრესტი №3-ს“ შორის გაფორმებული №57 და №104 ხელშეკრულებების ფარგლებში, სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 1-ლი მაისი და 20 ივნისი. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში სამუშაოების დასრულება ვერ შეძლო და წერილობით მიმართვაში მიზეზად სამუშაოების მოცულობებისა და ფასების ზრდა მოიყვანა. გაფორმებული ურთიერთშეთანხმებით, ორივე ხელშეკრულებისათვის სამუშაოების დასრულების ვადა პირველ სექტემბრამდე გადაიწია.

შესრულებული სამუშაოების აქტების შესწავლით დგინდება, რომ სამუშაოების საერთო მოცულობები არ გაზრდილა, (გამოიწვევდა ხელშეკრულების ფასის ცვლილებას), ხოლო ფასების მომატება გავლენას ვერ მოახდენდა სამუშაოების დამთავრების ვადაზე. გამომდინარე აქედან, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ არცერთ მოტივს სამუშაოს მიწოდების ვადების ცვლილება არ უნდა გამოეწვია. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა №57 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები დაამთავრა 14 აგვისტოს, დასაბუთებული მიზეზის გარეშე 105 დღის დაგვიანებით, ხოლო №104 ხელშეკრულების ფარგლებში - 21 აგვისტოს, 62 დღის დაგვიანებით.

ხელშეკრულებების პირობების თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით. მუნიციპალიტეტის მიერ პირგასამტეხლოს დარიცხვის შემთხვევაში,

³⁶ სს „სამშენებლო ტრესტი №3-ს“ აუნაზღაურდა სრული სახელშეკრულებო ღირებულება 5 705,2 ათასი ლარი, ხოლო შპს „იბოლიას“ - 1 650,0 ათასი ლარი, ანუ 87 %.

³⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21¹, პუნქტი 1.

ტრესტი №3“-ის სანქციის ოდენობა იქნებოდა სულ 682,8 ათასი ლარი, მათ შორის 105 დღეზე გაანგარიშებით - 372,8 ათასი ლარი, ხოლო 62 დღეზე გაანგარიშებით - 310,0 ათასი ლარი.

სამუშაოების დაგვიანებისათვის, მუნიციპალიტეტმა ზედმეტად გასწია მოსახლეობისათვის ბინის ქირავნობის ხარჯი, რაც დაახლოებით 33 ათას ლარს შეადგენს.

მუნიციპალიტეტსა და სს „სამშენებლო ტრესტი №3-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ხარჯთაღრიცხვები შეიცავს ექსპერტიზის ხარჯებს. ამასთან, ხელშეკრულებების პირობების თანახმად, მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნას შესრულებული სამუშაოების შესახებ. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების წარმოდგენილ აქტებში მოთხოვნილი აქვს ექსპერტიზის ხარჯები - სულ 116,0 ათასი ლარი, რაც მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის ზეპირი განმარტებით, მუნიციპალიტეტსა და სს „სამშენებლო ტრესტი №3-ს“ შორის მოხდა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად, ზედნადები ხარჯების 10%-დან 6%-მდე დაწევით მიღებული ეკონომიის სანაცვლოდ (ასახულია ფორმა №2-ებში), ექსპერტიზის თანხას აანაზღაურებდა შემსყიდველი. შეთანხმება მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა, თუმცა არის წერილობითი შეთავაზება, სადაც მიმწოდებელი მუნიციპალიტეტს აღნიშნულ ცვლილებას სთავაზობს. ზედნადები ხარჯის შემცირებით მიღებული ეკონომია უფრო მეტია, ვიდრე სამუშაოთა ექსპერტიზის ფაქტობრივი ღირებულება. ამდენად, აუდიტის ჯგუფისათვის გაურკვეველია მიმწოდებლის მოტივაცია, რამაც ზემოაღნიშნული ცვლილების მოთხოვნა განაპირობა.

➤ გორის მუნიციპალიტეტსა და შპს „იბოლიას“ შორის 2012 წლის 20 აპრილს და 2012 წლის 3 სექტემბრს გაფორმდა №105 და №280 ხელშეკრულებები, ისტორიულ უბანში ქუჩებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-სარეაბილიტაციო სამუშაოების მიწოდების მიზნით. ხელშეკრულებების ღირებულებამ 1 000,0 ლარი და 750,2 ათასი

ლარი შეადგინა, ხოლო სამუშაოების მიწოდების ვადად განისაზღვრა, შესაბამისად, 2012 წლის 31 აგვისტო და 18 სექტემბერი.

მიმწოდებელმა №105 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები დაამთავრა 4 სექტემბერს, 4 დღის დაგვიანებით, ხოლო №280 ხელშეკრულების ფარგლებში - 10 ოქტომბერს, 22 დღის დაგვიანებით. მხარეებს შორის სამუშაოების ვადის გადაწევაზე ურთიერთშეთანხმება არ გაფორმებულა.

ხელშეკრულებების თანახმად, სამუშაოს შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრებოდა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,3%-ის ოდენობით. მუნიციპალიტეტს უნდა დაერიცხა პირგასამტეხლო, რაც 4 დღეზე გაანგარიშებით შეადგენდა 12,0 ათას ლარს, ხოლო 22 დღეზე გაანგარიშებით - 49,5 ათას ლარს. სულ შპს „იბოლიაზე“ დასარიცხი სანქციის ოდენობა შეადგენდა 61,5 ათას ლარს.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოების ხელშეკრულების ვადებში დაუსრულებლობის გამო, სს „სამშენებლო ტრესტი №3-მა“ 2012 წელს №150 და №161 ხელშეკრულებების ფარგლებში ვერ განახორციელა საცხოვრებელი შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოების დადგენილ ვადებში შესრულება.

➤ შპს „იბოლიასთან“ გაფორმებული №105 ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქ. გორში წერეთლისა და ჯუღაშვილის ქუჩების სარეაბილიტაციო და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოებს, ღირებულებით 1 000,0 ათასი ლარი. ამასთან, ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო მხოლოდ მასალების და არა მოწყობის ღირებულება. პროექტის ავტორის, შპს „გეოს“ კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტსა და მომწოდებელს შორის დაიდო შეთანხმება, რითაც ხარჯთაღრიცხვას დაემატა მოწყობის სამუშაოების ღირებულება და შემცირდა მასალის რაოდენობა (სახელშეკრულებო ღირებულება არ შეცვლილა). პროექტის ავტორის განმარტებით, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა განსაზღვრავდა სამშენებლო სამუშაოების წინასწარ საორიენტაციო ღირებულებას და არ წარმოადგენდა დამკვეთსა და შემსრულებელს შორის ანგარიშსწორების დოკუმენტს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტმა შეისყიდა და ჩაიბარა ისეთი ტიპის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავდა ხარვეზს სამუშაოების რეალური შემადგენლობის შესახებ, ამასთან, ზუსტად არ იყო განსაზღვრული ერთეულის ღირებულებები.

მუნიციპალიტეტმა აუდიტის ჯგუფს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულება ისეთი მექანიზმების შემუშავების შესახებ (მ.შ. ფაქტობრივი დანახარჯების დადგენა), რომელიც უზღუნველყოფდა სამუშაოს რეალური საბაზრო ფასების განსაზღვრასა და შესაბამის ანგარიშსწორებას.

აუდიტის ჯგუფმა ქალაქის ძველ უბანში შერჩევის მეთოდით შეისწავლა და დაათვალიერა ცალკეული სამუშაოების შესაბამისობა საპროექტო სამუშაოების მოცულობასთან. შემოწმების შედეგად გამოვლინდა მცირე მოცულობის შეუსრულებელი სამუშაოები, რასაც პასუხისმგებელი პირებიც ადასტურებენ.

თეატრის რეკონსტრუქცია

2012 წლის 24 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საფუძველზე ხელშეკრულება გააფორმა შპს „დიკა 2010“-თან, ქ. გორში გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესყიდვაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით - 1 080,0 ათასი ლარი³⁸. სამუშაოები შეჩერდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, რადგან პროექტის დასაწყებად შესაბამისი ნებართვა არ იყო გაცემული³⁹. ნებართვის მიღების შემდეგ დადებული შეთანხმებით, პროექტმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, ხოლო მთლიანად შეიცვალა 201,8 ათასი ლარის ღირებულების გახმოვანებისა და განათების აპარატურა. პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით, წარმოდგენილია პროექტის ავტორის თანხმობა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნა, სადაც მითითებულია, რომ გამოენებული მასალები და მოწყობილობები განეკუთვნება სპეციფიკური დანიშნულების ტექნიკას.

³⁸ ხელშეკრულება №335.

³⁹ დაირღვა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი.

შესაბამისად, მასალების ერთეულისა და მოწყობის ღირებულებები უნდა შედარებულიყო შეძენის დოკუმენტაციასთან (ინვოისები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშგაქტურები) და შრომითი ანაზღაურების დამადასტურებელ სახელფასო უწყისებთან, მათი წარმოდგენის შემდეგ.

მუნიციპალიტეტმა არც ამ შემთხვევაში შეიმუშავა რაიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული მოთხოვნის დაცვას და ანგარიშწორებას მოახდენდა შემსყიდველის პირობების გაუარესების გარეშე. შპს „დიკა 2010“-თვის თანხა ანაზღაურებულია მხოლოდ წარმოდგენილი ფორმა №2-ებისა და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, სადაც მითითებულია, რომ შესრულებული სამუშაოების აქტების ერთეულის ღირებულებები შეესაბამება ხარჯთაღრიცხვის ერთეულ ღირებულებებს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამები“

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განსახორციელებლად სულ 4 032,5 ათასი ლარია გამოყოფილი⁴⁰. სამუშაოთა შერჩევისა და შესრულების პროცესში, რიგ შემთხვევებში არ არის დაცული პროგრამის მიზნობრიობა და კრიტერიუმები, კერძოდ:

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებიდან, აუდიტის პერიოდში სულ აუთვისებელი იყო 532,9 ათასი ლარი (13,2%), რომელიც არ მოხმარდა სოფლის მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილებას.

სოფლის პროგრამიდან დაფინანსებულია ისეთი პროექტები, რომლებიც ბოლომდე ვერ დასრულდა და პროექტით სარგებლობის საშუალება მოსახლეობას არ მიეცა. მაგალითად, ნიქოზის თემის სამ სოფელში 2012 წელს დაწყებულია სარიტუალო სახლების მშენებლობები, თანხით 56,4 ათასი ლარი. პროექტების დასრულება იმავე წელს ვერ მოხერხდა, გამოყოფილი თანხის უკმარისობის გამო, ხოლო მომდევნო წელს სხვა პრიორიტეტები დასახელდა და სამუშაოები აღარ გაგრძელდა.

⁴⁰ 2012 წ-1 991,9 ათასი ლარი; 2013 წ-2 040,6 ათასი ლარი.

სოფლებში - თედოწმინდასა და მარანაში 2012 წელს პროგრამით გამოყოფილი თანხიდან 31,4 ათასი ლარით შესყიდული და მოწყობილია გაზის მილები, რომლებიც არ არის მიერთებული ცენტრალურ მაგისტრალზე, ხოლო 2013 წელს აღნიშნული პროექტები აღარ გაგრძელებულა. დახარჯული თანხის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობას სარგებელი არ მიუღია.

2012 წელს სოფელ კოშკაში და 2013 წელს სოფელ ორთაშენში საერთოდ არ აუთვისებიათ პროგრამით გამოყოფილი თანხა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სოფელ კოშკაში მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტი ვერ განხორციელდა გამოყოფილი თანხის სიმცირის გამო, ხოლო სოფელ ორთაშენში, სადაც შენობის შეძენა იყო გათვალისწინებული, შესაბამისი ფართი ვერ მოიძებნა.

2013 წელს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება⁴¹ გააფორმა შპს „გორიგზამშენთან“ - მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 169,8 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, მიწოდების ვადა იყო 2013 წლის 20 ოქტომბერი, რომელიც შეთანხმების საფუძველზე გადაიწია იმავე წლის 10 ნოემბრამდე. ვადის ამოწურვამდე, მიმწოდებელმა 8 ნოემბერს მიმართა მუნიციპალიტეტს წერილით, სადაც მიუთითა, რომ სამუშაოები დაასრულა და ხელშეკრულება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ გაფორმებულია, რის საფუძველზეც მას აღარ დაეკისრა პირგასამტეხლო ვადაგადაცილებაზე. როგორც წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნიდან ირკვევა, მიმწოდებელმა ხელშეკრულება გააფორმა არა მიწოდების ვადის ამოწურვამდე, არამედ 2014 წლის 3 იანვარს, 53 დღის შემდეგ. ვადაგადაცილების გამო, ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, შპს „გორიგზამშენს“ შეიძლებოდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო 27,0 ათასი ლარის ოდენობით, რაც მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია.

აუდიტის ჯგუფმა, შერჩევის მეთოდით, დაათვალიერა ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები. შემოწმების შედეგად გამოვლინდა რიგი შეუსრულებელი სამუშაოები, რაც ასევე დასტურდება პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:

⁴¹ ხელშეკრულება №169, 13.08.2013.

- სოფელ ატენში, სასმელი წყლის რეაბილიტაციის ფარგლებში, კერძოდ, გარდატენის უბანში არ არის შესრულებული შემდეგი სამუშაოები: წყლის რეზერვუარის იზოლაცია ბიტუმით; რეზერვუარის მონტაჟი მიწის მიყრით (არ არის შესრულებული მიწის მიყრა); ქსელისათვის მე-3 კატეგორიის გრუნტის დამუშავება და მილის გარშემო გაფხვიერებული მიწის მიყრა შესრულებულია ნაწილობრივ.

- სოფელ წედისში, სათავე ნაგებობის რეაბილიტაციის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების მოძებნა და იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა - სამუშაო არ არის შესრულებული.

- სოფელ ტინისხიდში, I და II უბნებზე სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებიდან არ არის შესრულებული საერთო მოხმარების ონკანის მოწყობისა და ქსელთან მიერთების სამუშაოები. სისტემა არ ფუნქციონირებს და მოსახლეობას სასმელი წყალი არ მიეწოდება. შედეგად, ორივე უბანში სამუშაოების დარჩენილი ნაწილის შესრულების შემდეგაც კი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები არ გაუმჯობესებულა.

მუნიციპალიტეტში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, ყველა აღნიშნული სამუშაოს ანგარიშსწორების მასალებს თან ერთვის ინსპექტირების ჯგუფის დასკვნები, საექსპერტო შეფასებები და მიღება-ჩაბარების აქტები, სადაც ცალსახად დადასტურებულია სამუშაოთა სრულად შესრულება.

ნაგვის კონტეინერების შესყიდვა

მუნიციპალიტეტმა 2013 წლის 8 აპრილს ხელშეკრულება გააფორმა შპს „ექსიმ ტრაფიკთან“ ნარჩენებისა და ნაგვის კონტეინერების შესყიდვასთან დაკავშირებით. ხელშეკრულების მიხედვით, მიწოდების ადგილად განისაზღვრა ქ. გორი, ხოლო საქონლის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე. 2013 წლის 21 მაისს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზე საქონლის მიწოდების ვადამ გადაიწია 25 დღით (2013 წლის 16 ივნისის ჩათვლით).

აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ შეთანხმება ვადის გადაწევაზე გაფორმებულია საქონლის თურქეთის რესპუბლიკიდან

ტრანსპორტირების დაგვიანების მიზეზით. აღნიშნული არგუმენტი მუნიციპალიტეტის მხრიდან არ უნდა გამხდარიყო საქონლის მიწოდების ვადის გადაწევის საფუძველი. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, მიმწოდებელს უნდა დარიცხვოდა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით, რაც 25 დღეზე გადაანგარიშებით 12,7 ათას ლარს შეადგენს.

მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 21 აგვისტოს, სადაც მითითებულია, რომ საქონელი შემსყიდველს მიეწოდა 21 ივნისს, 4 დღის დაგვიანებით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა⁴², კონტეინერები ქ. თბილისიდან ქ. გორში ტრანსპორტირებულია 17 აგვისტოს, ანუ 60 დღის დაგვიანებით. მუნიციპალიტეტს მიმწოდებელზე დარიცხული აქვს მხოლოდ 4 დღის ვადაგადაცილების პირგასამტეხლო - 2 ათასი ლარი, რეალურად კი უნდა დაერიცხა 30,0 ათასი ლარი.

ვადის უსაფუძვლოდ გადაწევისა და შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული ვადის დარღვევისათვის საჯარიმო სანქციების გაუვრცელებლობის გამო, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო დამატებითი შემოსავალი სულ 40,7 ათასი ლარის⁴³ ოდენობით.

დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაცია

2012 წლის 30 ივლისს შპს „ოდასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება ბუნებრივი გაზით აფეთქებული კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, თანხით 163,3 ათასი ლარი⁴⁴. სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების დადებიდან 90 დღე (30 ოქტომბერი). საწარმომ სამუშაოების უმეტესობა ვერ შეასრულა და 2013 წლის 8 ოქტომბერს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 თვის შემდეგ, ჩააბარა მხოლოდ 24,2 ათასი ლარის სამუშაოები. მიუხედავად ამისა, შპს „ოდას“ მიწოდების ვადა გადაეწია 4-ჯერ, ჯამში 7 თვით ისე, რომ მუნიციპალიტეტმა ვადის გადაწევის საფუძველი ვერ წარმოადგინა. მუნიციპალიტეტი ამ პერიოდში იხდიდა ბინის ქირის

⁴² სასაქონლო ზედნადები

⁴³ $40,7 = 12,7 + 30,0 - 2,0$

⁴⁴ ხელშეკრულება №229.

საფასურს კორპუსის მცხოვრებლებისათვის, რომლებიც დროებით იჯარით აღებულ ფართობებში იყვნენ შესახლებულნი. სულ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ამოწურვიდან შეწყვეტამდე, მუნიციპალიტეტს ქირის სახით გადახდილი აქვს დაახლოებით 26,0 ათასი ლარი.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მუნიციპალიტეტს შპს „ოდასათვის“ შეემლო არ გადაეწია სამუშაოების შესრულების ვადა და დაეჯარიმებინა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 %-ის ოდენობით, რაც ჯამში დაახლოებით 100 ათას ლარს შეადგენა. მუნიციპალიტეტმა დაჯარიმების ეს მექანიზმი არ გამოიყენა. შემსყიდველს ასევე შეემლო დროულად შეეწყვიტა ხელშეკრულება, როცა ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ს. საბოლოოდ გორის მუნიციპალიტეტმა 2013 წლის სექტემბერში, ხელშეკრულების დადებიდან 14 თვის შემდეგ, შპს „ოდას“ შეუწყვიტა ხელშეკრულება, ხელშეკრულების საგნის ჩაუბარებლობის მოტივით.

ქუჩების გარე და დეკორატიული განათების ექსპლუატაცია

- 2012 წლის 31 იანვარს, ტენდერის საშუალებით გორის მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდულია ქუჩების გარე და შენობების დეკორატიული განათებების ექსპლუატაციის მომსახურება, სახელშეკრულებო ღირებულებით 192,5 ათასი ლარი⁴⁵. წარმოდგენილი ფორმა №2-ების მიხედვით, მომსახურების შესრულებამ და ანაზღაურებამ 129,7 ათასი ლარი შეადგინა⁴⁶. აქედან, გარე განათებაზე გახარჯულია 70,8 ათასი ლარი, ხოლო დეკორატიულ განათებაზე - 58,9 ათასი ლარი.

მიმწოდებლის, შპს „გორის კეთილმოწყობის სამსახურის“⁴⁷ მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, განათების ექსპლუატაციის პროცესში სულ გამოყენებულია 2 734 ერთეული სხვადასხვა ტიპის სანათი, ხოლო შესრულებული

⁴⁵ ხელშეკრულება № 28.

⁴⁶ მიმწოდებელმა, შესრულების შესაბამისად, 62,8 ათასი ლარით შეამცირა სატენდერო ხელშეკრულების ფასი.

⁴⁷ დაფუძნებულია მუნიციპალიტეტის მიერ.

სამუშაოების აქტების მიხედვით, მიმწოდებელმა მოითხოვა და ანაზღაურება მიიღო 3 892 ერთეული სანათისათვის.

მიმწოდებელმა აუდიტის ჯგუფს ვერ მიაწოდა დამატებით 1 158 ერთეული სანათის გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის ღირებულებაც, მომსახურების ხარჯების ჩათვლით, 8 ათას ლარამდეა.

დაგვა-დასუფთავება

2012 წელს გორის მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა ქ. გორში ქუჩების დაგვა-დასუფთავებისა და დაგვილი მასის გატანის მომსახურების შესყიდვაზე⁴⁸. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „გორის კეთილმოწყობის სამსახურმა“, რომელთანაც დაიდო ხელშეკრულება⁴⁹ ღირებულებით 726,0 ათასი ლარი. მიმწოდებელს მომსახურება უნდა გაეწია წლის ბოლომდე და ყოველდღიურად უნდა დაეგვა 241 443 კვ.მ ქუჩის ფართობი. როგორც შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან ირკვევა, მიმწოდებელს 5 თვის განმავლობაში⁵⁰ გაზრდილად აქვს ნაჩვენები ყოველდღიურად დასაგველი ქუჩების ფართობები (241 443 კვ.მ-ის ნაცვლად 249 491 კვ.მ). აღნიშნული ხარვეზი მუნიციპალიტეტის მიერ არ გასწორებულა, რის გამოც ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილია 6,0 ათასი ლარი.

სტადიონის რეკონსტრუქცია

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით⁵¹, 2012 წელს მუნიციპალიტეტმა 2 ხელშეკრულება გააფორმა გორის ცენტრალური სტადიონის სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე⁵². ხელშეკრულებების სახარჯთაღრიცხვო ნაწილი შეიცავდა 120,8 ათასი ლარის დემონტაჟის სამუშაოებს. აქედან 54,9 ათასი ლარის სამუშაო არ არის გაშიფრული

⁴⁸ SPA120000197

⁴⁹ ხელშეკრულება №26. 31.01.2012.

⁵⁰ ფორმა №2-ის თარიღები: 4 ივნისი, 31 ივლისი, 3 სექტემბერი, 31 ოქტომბერი და 25 დეკემბერი.

⁵¹ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 22 ნოემბრის №22/11/03 განკარგულება.

⁵² ხელშეკრულებები №N1, 15.

რაოდენობის, მოცულობებისა და ღირებულებების ჩვენებით, რის გამოც ღირებულების რეალობა მაღალ რისკს შეიცავს.

აუდიტის შედეგად ვერ დადგინდა, თუ რა რაოდენობისა და ღირებულების მასალის დემონტაჟი განხორციელდა. ამასთან, პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მასალების (არმატურა, სამშენებლო ქვები და სხვ.) დასაწყობება-შენახვა მუნიციპალიტეტს არ განუხორციელებია.

ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი ხასიათდება სისტემური ხარვეზებით. საანგარიშო პერიოდში, 27 შემთხვევაში შესყიდულია ისეთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებშიც სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკორექტირდა პროექტის მიმდინარეობის პროცესში. ცვლილებები განხორციელდა როგორც სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში, ასევე არის ფასის გაზრდის შემთხვევები. მაგალითად:

- 2013 წელს მუნიციპალიტეტმა ტენდერის საშუალებით ხელშეკრულება⁵³ გააფორმა შპს „ბილდინგ-დეველოპერთან“, სოფელ მეჯვრისხევში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოებზე, თანხით - 670,0 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და დაემატა ე.წ. „უნაგირების მოწყობის“ სამუშაოები, ღირებულებით 69,0 ათასი ლარი, რომლის გარეშეც, მომწოდებლის წერილის მიხედვით, სისტემა ვერ იფუნქციონირებდა.

- 2012 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესრულების პროცესში⁵⁴, ხარჯთაღრიცხვიდან ამოღებულია და სამაგიეროდ დამატებულია 55,4 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამუშაოები. საერთო ჯამში კორექტირებულია ხელშეკრულების ფასით (131,8 ათასი ლარი) განსაზღვრული სამუშაოების 41%.

⁵³ ხელშეკრულება №249, 03.12.2013.

⁵⁴ მუნიციპალიტეტის სოფლებში სარწყავი და სანიღვრე არხების რეაბილიტაციის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში სულ 27 ხელშეკრულების შესრულების პროცესში შემცირებული სამუშაოს ჯამურმა თანხამ 836,8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო დამატებულია 688,6 ათასი ლარის სამუშაოები. იმის გამო, რომ დამატებული სამუშაოების ერთეული ფასების განსაზღვრა ხელშეკრულებების კორექტირების პროცესში ხდებოდა არა სატენდერო ღირებულებებით, არამედ მიმწოდებლის ან პროექტის ავტორის მიერ შემოთავაზებული ფასით, არსებობს გონივრული რისკი, რომ მუნიციპალიტეტი, კვალიფიციურად შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პირობებში, მნიშვნელოვან ეკონომიას მიიღებდა⁵⁵.

დღგ-ის გადასახადი

ა) მოქმედი კანონმდებლობით⁵⁶, მსუბუქი ავტომობილებისა და დანარჩენი მრავიანი სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება, იმპორტი ან დროებითი შემოტანა, განკუთვნილი ძირითადად ადამიანების გადასაყვანად, განთავისუფლებულია დღგ-ისგან, ჩათვლის უფლების გარეშე. მიუხედავად ამისა, ავტომობილების შესაძენად საანგარიშო პერიოდში 5 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁵⁷ გამოცხადებულია დღგ-ის გათვალისწინებით. ხელშეკრულების⁵⁸ საკასო ხარჯმა 127,8 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც, სავარაუდოდ, ზედმეტად გადახდილია დღგ - 19,5 ათასი ლარის ოდენობით.

ბ) მუნიციპალიტეტმა 2012 წლის პირველ თებერვალს ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა ქ. გორში სკვერებისა და გაზონების მოვლა-შენახვისათვის, სავარაუდო ღირებულებით 143,0 ათასი ლარი. სატენდერო დოკუმენტაციით, სხვა სამუშაოებთან ერთად, გათვალისწინებული იყო ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც საგადასახადო კოდექსის თანახმად⁵⁹ განთავისუფლებულია დღგ-ისაგან, ჩათვლის

⁵⁵ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული 16 ტენდერის შემთხვევაში.

⁵⁶ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168, პუნქტი 1, „ნ“ ქვეპუნქტი.

⁵⁷ SPA120002519, SPA1200026, SPA120013238, SPA120014550, SPA130027317.

⁵⁸ 2012 წელი - ხელშეკრულებები №№23,32,138,144; 2013 წელი - ხელშეკრულება №281.

⁵⁹ საგადასახადო კოდექსი, მუხლი 168, პუნქტი 2, „ჟ“ ქვეპუნქტი.

უფლების გარეშე. ტენდერში გაიმარჯვა შპს „მზიური XXI+“-მა, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება⁶⁰ - თანხით 110,0 ათასი ლარი.

წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტებით, ტერიტორიის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისათვის, მუნიციპალიტეტს გადახდილი აქვს სულ 40,9 ათასი ლარი, საიდანაც დღგ, სავარაუდოდ 6,1 ათასი ლარი, ზედმეტადაა გადახდილი.

გ) 2012-2013 წლებში გორის მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერების შესწავლისას გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ტენდერში, რომლის ღირებულებაც დღგ-ის ჩათვლით იყო გამოცხადებული, პრეტენდენტებმა დღგ-ის მითითების გარეშე გაიმარჯვეს. მათ შორის, მუნიციპალიტეტმა გააფორმა 66 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 396,3 ათასი ლარი, საიდანაც მიმწოდებლებს სავარაუდოდ 56,2 ათასი ლარი დღგ-ის სახით აუნაზღაურდათ, შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურების წარმოდგენის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო კომისია ტენდერს დღგ-ის გარეშე გამოაცხადებდა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ფინანსური სახსრები უფრო რაციონალურად დაიხარჯებოდა და ბიუჯეტი გარკვეულ ეკონომიას მიიღებდა.

გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება

2012-2013 წლებში გორის მუნიციპალიტეტის მიერ სხვადასხვა მიმწოდებლებთან გაფორმებული რიგი ხელშეკრულებები, ხარჯთაღრიცხვების შემადგენელი ნაწილის სახით, შეიცავდა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.

ორ მიმწოდებელთან მიმართებაში მუნიციპალიტეტმა არ მოითხოვა გაუთვალისწინებელ სამუშაოთა იდენტიფიცირება და სამუშაოს ფაქტობრივი შესრულების კონტროლის გარეშე, სრულად აანაზღაურა მოთხოვნილი თანხა 7,7 ათასი ლარის ოდენობით⁶¹, რაც მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული დაუსაბუთებელი ხარჯია.

⁶⁰ №88, 28.03.2012.

⁶¹ 2013 წლის ხელშეკრულებები №№187,228.

სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო ღონისძიებები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 24 სექტემბრის №1296 ბრძანების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, კერძოდ, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით, გამოეყო 1 630,0 ათასი ლარი. აქედან ათვისებულია 1 595,5 ათასი ლარი, ხოლო 34,5 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნდა 2014 წლის 28 ივლისს.

მუნიციპალიტეტმა გამოყოფილი თანხით შეისყიდა 1 535,5 ათასი ლარის ღირებულების სასურსათო პროდუქტები. კერძოდ: ფქვილი 30 302 ტომარა - თანხით 1 149,7 ათასი ლარი, შაქარი - 154,0 ათასი კგ - თანხით 258,7 ათასი ლარი, მზესუმზირის ზეთი - 46 200 ბოთლი (950 მლ) - თანხით 127,1 ათასი ლარი. პროდუქტების ძირითადი რაოდენობის სოფლებში ტრანსპორტირებაზე გაწეულია 59,9 ათასი ლარის ხარჯი. ნაწილი პროდუქტებისა დასაწყობდა ა(ა)იპ „ტონთიოს“ ტერიტორიაზე, საიდანაც სურსათი დახმარების სახით გაიცემოდა კონკრეტული განცხადებების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამართლებრივი აქტი ან სხვა დოკუმენტი სტიქიით დაზარალებულთა კატეგორიის განსაზღვრის, ოჯახზე გასაცემი სურსათის რაოდენობის, პროდუქტების გაცემის საბოლოო შედეგებისა და სხვა მონაცემების შესახებ. მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთა ზეპირი განმარტებით, პროდუქტების დარიგება ტერიტორიულ ერთეულებში შემდეგი პროპორციით ხორციელდებოდა: ოჯახზე - ერთი ტომარა ფქვილი, 5 კილოგრამი შაქარი, 1,5 ბოთლი ზეთი.

სურსათის გაცემის დამადასტურებლად მოწოდებული მოსახლეობის სახელობითი სიები ვერ იძლევა სრულ სურათს სურსათის გაცემის იდენტიფიცირების შესახებ. კერძოდ, სიები არ არის დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ, ნაწილი წარმოდგენილია ხელმოწერილი სახელობითი სიის სახით, მიზნობრიობის მითითების გარეშე, ნაწილზე არ არის მითითებული პროდუქტის დასახელება, რაოდენობა და გაცემის თარიღი. ზედღუღეულის თემის სახელობითი სია წარმოდგენილია მიღების დამადასტურებელი ხელმოწერების გარეშე, პასუხისმგებელი პირის მიერ გაკეთებული აღნიშვნებით.

მიუხედავად მოთხოვნისა, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელმა პირებმა ვერ დააზუსტეს მონაცემები გაცემული პროდუქტის საერთო მოცულობის, სავარაუდოდ დარჩენილი და დასაწყობებული ნაწილის შესახებ. გაცემული სურსათის რაოდენობის დასადგენად, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ სახელობით სიებში დაითვალა და დააჯამა მიღების დამადასტურებელი ხელმოწერები და შპს „ტონთიოში“ მოსახლეობაზე პირადი განცხადებით გაცემული სურსათის მოცულობები, რასაც უცვლელად დაემატა სოფელ ზედლულეთის მოსახლეობის სიაში მითითებული ოჯახების რაოდენობა.

აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით, სულ გაცემულია 29643 ტომარა ფქვილი, 148120 კგ შაქარი და 44436 ბოთლი ზეთი. დარჩენილი ნაშთია: 659 ტომარა ფქვილი, 2811 კგ შაქარი და 802 ბოთლი ზეთი. დანაკლისი პროდუქტების ღირებულება შესყიდვის დროინდელი ფასებით დაახლოებით 30 ათას ლარს შეადგენს.

სატრანსპორტო საშუალებები და საწვავის ხარჯი

- წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში იმყოფება 63 ერთეული მსუბუქი, მაღალი გამავლობის, სატვირთო და სპეცდანიშნულების სატრანსპორტო საშუალება. მონაცემები არასრულყოფილია, არ ზუსტდება ინფორმაცია ცალკეული ტრანსპორტის განკარგვის, შეძენისა და ღირებულების შესახებ.

- 7 ერთეული მაღალი კლასის, ძვირადღირებული სატრანსპორტო საშუალება მუნიციპალიტეტს თხოვების ფორმით გადაცემული აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის და სახელმწიფო რწმუნებულის აპარატისათვის. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნის მიუხედავად⁶², 2013 წლის 1 იანვრის შემდეგ ქონება მუნიციპალიტეტისთვის დაბრუნებული არ არის.

- საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მიხედვით⁶³, მსუბუქი ავტომანქანების ზღვრული ოდენობა გორის

⁶² მუხლი 65², პუნქტი 4.

⁶³ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 11 აგვისტოს №364 ბრძანებულება.

მუნიციპალიტეტისათვის 2012-2013 წლებში, პერსონალური ავტომანქანების გარდა, განისაზღვრებოდა 5 ერთეულით. სამსახურებრივი მიმოსვლისათვის მუნიციპალიტეტს მსუბუქი ავტომანქანები ემსახურებოდა კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმატივის ზემოთ, კერძოდ, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების განკარგვაში იყო 28 ერთეული ავტომანქანა.

- მუნიციპალიტეტმა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2012 წლის 14 მაისის №129 ხელშეკრულების თანახმად, შპს „ქარ რენტ ენდ თრეიდ-ინ ქომფანისგან“ შეიძინა 119,3 ათასი ლარის ღირებულების ავტომანქანა TOYOTA LAND CRUISER 200. ხელშეკრულების პირობიდან გამომდინარე, ავტომანქანა შეძენილია სხვა ავტომანქანის - TOYOTA LAND CRUISER LC150-ის ჩაბარების სანაცვლოდ. მუნიციპალიტეტმა გადაიხადა ჩანაცვლების ფასთა სხვაობა - 46,3 ათასი ლარი.

როგორც მუნიციპალიტეტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, ავტომანქანა TOYOTA LAND CRUISER LC 150 შეძენილია 2011 წლის 23 სექტემბრს - 108,0 ათას ლარად⁶⁴. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს 2012 წლის 10 მაისის დასკვნით, ავტომანქანას არ გააჩნდა რაიმე სახის დაზიანება, ძალური აგრესიები და სავალი ნაწილები დაკომპლექტებული და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში იყო. ავტომობილის საბაზრო ღირებულება დადგინდა შედარების მეთოდით - ღია ბაზარზე მსგავსი სატრანსპორტო საშუალების არსებულ ფასებთან შედარებით და შეფასდა 73,0 ათას ლარად. მოცემული პერიოდისათვის ავტომანქანის ნარჩენი ღირებულება ბუღალტრული ჩანაწერებით შეადგენდა 94,0 ათას ლარს, ანუ ქონება გაიცვალა საბალანსო ღირებულებაზე 21,0 ათასი ლარით ნაკლები ღირებულებით.

ავტომანქანა შეძენილია მაღალანაზღაურებადი საჯარო მოხელეების პირადი კომფორტისა და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად. აუდიტის ჯგუფის მოსაზრებით, 46,3 ათასი ლარით შესაძლებელი იყო კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტის ან სოციალური პროგრამის განხორციელება, რეგიონში მცხოვრები დევნილებისა და საერთოდ მოსახლეობის მძიმე ყოფითი

⁶⁴ ხელშეკრულება №184.22.09.2011.

პირობების შესამსუბუქებლად. შესყიდვა, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებლად, განხორციელებულია ყოველგვარი არგუმენტირების გარეშე. საგარანტიო პერიოდის ამოწურვამდე, მაღალი კლასის, ფაქტობრივად ახალი - 7 თვის წინ შეძენილი სატრანსპორტო საშუალება ჩანაცვლებულია უფრო ძვირადღირებული მანქანით.

- 2012-2013 წლებში გორის მუნიციპალიტეტში წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების თანამდებობის პირებზე გაცემულია სულ 109,5 ათასი ლიტრი საწვავი⁶⁵. აქედან 30,9 ათასი ლიტრი მუნიციპალიტეტის გამგეობაში გაცემულია ზღვრული ლიმიტების დაწესების გარეშე, რამაც საწვავის არაეკონომიური ხარჯი გამოიწვია.

მიუღებელი იჯარის ქირა

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემული ობიექტებიდან (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, შენობა-ნაგებობები და სხვ.) ქირის გადახდის ვალდებულება ჰქონდა 120 ხელშემკვრელ სუბიექტს.

2013 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, მიუღებელი საიჯარო ქირა შეადგენდა 40,5 ათას ლარს, ხოლო 2014 წლის 1-ლი იანვრისათვის - 83,1 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აღრიცხავს და არ იყენებს გადაუხდელ თანხაზე საურავის დარიცხვის მეთოდს. საურავის გათვალისწინებით,⁶⁶ აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, კერძოდ, 2014 წლის 29 სექტემბრისათვის გადაუხდელმა საიჯარო ქირამ 200 ათას ლარზე მეტი შეადგინა.

- 2012 წელს გაფორმებული 29 მოქმედი ხელშეკრულებიდან 18 მოსარგებლეს 2012 წელს ქირა არ გადაუხდია, აქედან 9 მოსარგებლისაგან თანხის ჩარიცხვა 2014 წლის ჩათვლით საერთოდ არ ფიქსირდება.

⁶⁵2012 წელი - 51,8 ათასი ლიტრი, 2013 წელი - 57,7 ათასი ლიტრი.

⁶⁶ 2014 წლის 1-ლი იანვრისათვის, ჯამური დარიცხვის მეთოდით.

- 2013 წელს 67 მოქმედი ხელშეკრულებიდან ქირა საერთოდ არ გადაუხდია 24 მოსარგებლეს, აქედან 19 მოსარგებლე ქირას დღემდე არ იხდის.

- 2012-2013 წლებში შეწყვეტილია სულ 23 ხელშეკრულება, მუნიციპალიტეტის მიმართ დავალიანება შეადგენს 10,4 ათას ლარს.

- არის შემთხვევა, როცა ხელშეკრულება გაფორმებულია ისეთ მოიჯარესთან, რომელსაც იმავე და სხვა მიმდებარე მიწაზე გადაუხდელი ჰქონდა არსებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული იჯარის ქირა⁶⁷.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები საიჯარო ქირის დაზუსტების, არგადამხდელ მოიჯარეთა მიმართ რეაგირებისა და საიჯარო დავალიანების ამოღების კუთხით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

მშენებლობის ნებართვები

საანგარიშო პერიოდში გორის მუნიციპალიტეტში მშენებლობის ნებართვები გაცემულია 167 ობიექტზე, დარიცხულმა მოსაკრებელმა 93,7 ათასი ლარი შეადგინა⁶⁸.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მუნიციპალიტეტში განხორციელებულ 50-ზე მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტზე სანებართვო დოკუმენტაცია არ არის ნაწარმოები (გზებისა და ხიდების მშენებლობა, არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, გარე განათების მოწყობა, დემონტაჟის სამუშაოები, გაზგაყვანილობის სისტემების მოწყობა და სხვ.), რომელიც საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას, დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის უგულებელყოფა შეიცავს რისკებს მიწის საზღვრებისა და საკუთრების ფორმის განსაზღვრის, სამშენებლო ნორმებისა და წესების, ობიექტის ტექნიკური, შრომის უსაფრთხოებისა და სხვა რეგულაციების დაცვისა და კონტროლის მხრივ.

⁶⁷ 2014 წლის 3 ივნისის საიჯარო ხელშეკრულება.

⁶⁸ 2012 წელი - 76 ობიექტი, 45,2 ათასი ლარი, 2013 წელი - 91 ობიექტი, 48,5 ათასი ლარი.

არამიზნობრივი ხარჯი

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტს ბიუჯეტიდან გადახდილი აქვს ჯარიმები, საკუთრებაში არსებული ავტომობილების მძღოლების მიერ საგზაო მოძრაობისა და პარკირების წესების დარღვევის გამო. აქედან 0,3 ათასი ლარის ხარჯი დამატებით გაწეულია საჯარიმო თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის დარიცხული საურავისა და აღსრულების საფასურის სახით. 3 შემთხვევაში საჯარიმო თანხები ანაზღაურებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის თხოვნის ფორმით გადაცემული ავტომანქანებით განხორციელებული დარღვევებისათვის.

აღნიშნული თანხების ანაზღაურება უნდა დაკისრებოდეთ შესაბამის დამრღვევ პირებს და წარმოადგენს ბიუჯეტიდან გაწეულ არამიზნობრივ ხარჯს.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა

შენობა-ნაგებობები

პასუხისმგებელი პირების ინფორმაციით, გორის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო სტრუქტურებიდან ძირითადი და დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადაეცა 243 ერთეული შენობა-ნაგებობა. აქედან განუკარგავია 12 ობიექტი.

ზოგიერთ შემთხვევაში, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციაში გატარებულია ისეთი ობიექტები, რომლებიც მუნიციპალიტეტს არ შეუქმნია და არ შეუძენია, ხოლო გადმოცემის შესახებ სამინისტროს/ქონების მმართველის ბრძანებები ან წერილობითი თანხმობები ვერ იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, 5 ობიექტი, 2 087,16 კვ.მ დაშენების საერთო ფართობით, რომელიც განთავსებულია 4 4074 კვ.მ მიწის ნაკვეთებზე⁶⁹, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებულია გამგეობის მიმართველის

⁶⁹ მიწის ნაკვეთები - 2 388 კვ.მ; 3 834 კვ.მ; 3 238 კვ.მ; 1 354 კვ.მ; 3 3260 კვ.მ.

საფუძველზე, რაც სავარაუდოდ არ წარმოადგენს საკმარის და შესაფერის მტკიცებულებას ქონების მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაციისთვის.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

➤ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2012 წლიდან გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია სულ 176 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართობი - 643,0 ათასი კვ.მ). აქედან, 37 მიწის ნაკვეთზე (ფართობი - 5,7 ათასი კვ.მ) მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა სამინისტროს/ქონების მმართველის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი⁷⁰ ან თანხმობა⁷¹ ქონების საკუთრებაში გადმოცემის შესახებ.

როგორც შენობა-ნაგებობების გადმოცემის შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტმა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გორის სარეგისტრაციო სამსახურს არ წარუდგინა კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტაცია და აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, მხოლოდ მუნიციპალიტეტის მიმართვების საფუძველზე.

➤ მუნიციპალურ საკუთრებაში რეგისტრირებული 176 მიწის ნაკვეთიდან, წარმოდგენილი ინფორმაციით, განუკარგავია 42 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. განუკარგავი მიწის ნაკვეთები ძირითადად ქ. გორის ცენტრში მდებარეობს. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწებიდან (მ.შ. 2012 წლამდე დარეგისტრირებული მიწები) ვიზუალური დათვალიერებით, ნაწილი დაკავებული აქვთ არაუფლებამოსილ პირებს, იყენებენ კომერციული საქმიანობისათვის, ხოლო მიწის ნაკვეთით სარგებლობისათვის შესაბამის საფასურს ბიუჯეტში არ იხდიან. მაგალითად:

⁷⁰საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 6.

⁷¹საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, მუხლი 67, პუნქტი 1⁴.

- ქალაქის სხვადასხვა უბანში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 3 მიწის ნაკვეთზე⁷² არაუფლებამოსილი პირების მიერ მოწყობილია ფასიანი ავტოსადგომები.

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტროტუარზე⁷³ განთავსებულია აგრარული ბაზრის სავაჭრო დახლები.

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 21 მიწის ნაკვეთზე⁷⁴ აშენებულია კერძო ავტოფარეხები.

პასუხისმგებელმა პირებმა ვერ წარმოადგინეს მტკიცებულებები მიწების უკანონო მოსარგებლეთა მიმართ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა

• მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2011 წლიდან ყოფილი მუნიციპალიტეტის ლიკვიდაციამდე სარგებლობის უფლებით გაცემულია 172 დასახელების ობიექტი, მათ შორის:

- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით - 58 ობიექტი (აქედან 2 ხელშეკრულება გაუქმებულია).

- ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის სუბიექტებზე პირდაპირი განკარგვის ფორმით - 112 ობიექტი (27 ხელშეკრულება გაუქმებულია).

- ფიზიკურ პირზე აუქციონის ფორმით - 2 ობიექტი (აქედან 1 ხელშეკრულება შეწყვეტილია).

ქონების სარგებლობის ფორმით განკარგვის პრაქტიკისაგან განსხვავებით, ადგილობრივი ქონების პრივატიზაცია ხდება ელექტრონული აუქციონებით. საანგარიშო პერიოდში აუქციონის ფორმით პრივატიზებული 28 ობიექტის ჯამური საწყისი ღირებულება 158,6 ათასი ლარიდან გაიზარდა 434,5 ათას ლარამდე, ანუ 2,7-

⁷² საკადასტრო კოდები: 66.45.25.011; 66.45.17.009; 66.45.24.176.

⁷³ საკადასტრო კოდი: 66.45.17.007

⁷⁴ საკადასტრო კოდები: 66.45.25.035-036; 66.45.25.038-049; 66.45.25.051-057.

ჯერ. საპრივატიზებო თანხების ასეთი ზრდა რეგიონში უძრავი ქონების ბაზრის მაღალ პოტენციალზე მიუთითებს, რაც არ არის გამოყენებული ქონების სარგებლობის ფორმით განკარგვის შემთხვევებში, კერძოდ:

მუნიციპალიტეტში არსებული წესის შესაბამისად, ქონების სარგებლობის ფორმით განკარგვის პროცესის დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება. ქონების განკარგვა ხდება აუქციონის გარეშე, მისი ლიკვიდურობის შესახებ ინფორმაციის დაუზუსტებლად.

არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ქონების პირდაპირი განკარგვის წესის გამოყენებით, მუნიციპალიტეტი გამორიცხავს მიწისა და შენობა-ნაგებობების აუქციონით განკარგვის შესაბამისად მისაღები სავარაუდოდ მაღალი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ადგილობრივი ქონების სარგებლობის წესის შესაბამისად⁷⁵, ქონებაზე სარგებლობის უფლება გადაეცემა პირს, რომელიც სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებს ქონების პირდაპირი წესით განკარგვისას დადგენილ პირობებს. მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულებების ძირითად ნაწილზე ვერ წარმოადგენა რაიმე სახის მტკიცებულება, თუ რა კონკრეტული პირობის საფუძველზე გაიცა ობიექტები სარგებლობის ფორმით.

აუდიტის ჯგუფი თვლის, რომ ადგილობრივი ქონება პირდაპირი განკარგვის ფორმით მუნიციპალიტეტის მიერ გაცემულია სისტემური ხარვეზით, საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შეუსაბამოდ.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

1. აგრარული ბაზარი

გორის მუნიციპალტეტმა 2011 წლის 9 მარტს გამოცხადებული აუქციონის შესაბამისად, გაასხვისა 38 793 კვ. მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აგრარული ბაზრის მშენებლობის მიზნით. მიწა 244,4 ათასი ლარის საფასურად

⁷⁵ საკრებულოს დადგენილება №32, 06.10.2010.

შეისყიდა შპს „საქართველო - ისრაელის პროექტების მენეჯმენტმა“, რის საფუძველზე 2011 წლის 11 აპრილს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და გაიცა საკუთრების უფლების შესაბამისი მოწმობა. ხელშეკრულების შესაბამისად, მყიდველმა ვალდებულება აიღო თანამედროვე ტიპის აგრარული ბაზრისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 17 თვის განმავლობაში. ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის მყიდველს ეკისრებოდა საერთო ღირებულების 0,05 %-ის გადახდა, თითოეული ვალდებულების დარღვევისათვის.

ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე, მყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობები 3-ჯერ დაირღვა. მესაკუთრე დაჯარიმდა მხოლოდ 1 დარღვევისათვის და გადაიხადა პირგასამტეხლო 977,61 ლარის ოდენობით. საკრებულოს მიერ აღნიშნულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებები⁷⁶ არ შეიცავს მტკიცებულებას ან დასაბუთებას რა მიზნითა და მიზეზით მოხდა მყიდველისათვის შეღავათის 2-ჯერ გაწევა და რა სარგებელი მიიღო აქედან მუნიციპალიტეტმა.

2. სატენდერო კომისიის საქმიანობის ხარვეზები

ა) 2013 წლის 29 აპრილს გორის მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა რკინიგზის სადგურის დასახლებაში ახალი საკანალიზაციო ქსელისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვაზე. სატენდერო დოკუმენტაციით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება არ უნდა ყოფილიყო 9 000,0 ათას ლარზე მეტი, ხოლო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვრა პროექტის სავარაუდო ღირებულების 2,1 %-ით, თანხით 185,5 ათასი ლარი. ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან შპს LMC -თან ხელშეკრულება 148,7 ათას ლარზე გაფორმდა.

ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საპროექტო დოკუმენტაციით, მშენებლობის სავარაუდო ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდა და 5 322,1 ათასი ლარი შეადგინა. სამუშაოების ჩატარება განისაზღვრა სამ ეტაპად, საიდანაც პირველ და

⁷⁶ 2012 წლის 29 ივნისის №100 განკარგულება; 2012 წლის 21 დეკემბრის №167 განკარგულება.

მეორე ეტაპებზე გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულება 4 031,3 ათასი ლარია. აღსანიშნავია, რომ ტენდერების მიმდინარეობის პროცესში, ვაჭრობის შედეგად სავარაუდო ღირებულებები კვლავ შემცირდა სულ 1 362,7 ათასი ლარით და საბოლოოდ ორივე ხელშეკრულების ფასი, ჯამში 2 668,5 ათასი ლარით განისაზღვრა. სულ სატენდერო კომისიის მიერ განსაზღვრული სამუშაოს სავარაუდო ღირებულება დაახლოებით 60%-ით შემცირდა.

მუნიციპალიტეტის მიერ არ მოხდა ინფრასტრუქტურული პროექტის ღირებულების საჭირო სიზუსტით დათვლა, რამაც არაეკონომიური ხარჯი გამოიწვია.

ბ) 2012 წლის 25 მაისს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა სოფელ დიცის საკრებულოს ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე⁷⁷. ტენდერის სავარაუდო ღირებულება 1 468,0 ათასი ლარი ვაჭრობის შედეგად შემცირდა 1 388,5 ათას ლარამდე, რის გამოც სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს (შპს „კაპიტელი“) მოსთხოვა ფასების ცხრილის დაზუსტება და მიუთითა არსებულ ხარვეზებზე სამუშაოთა დასახელებისა და განზომილების კორექტირების მიზნით. კომისიას არ მოუხდენია ფასების ცხრილის მათემატიკური შეფასება, რის გამოც ხელშეკრულებაზე თანდართული კორექტირებული ცხრილის ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1 შეიცავს ცდომილებას 31,1 ათას ლარის ოდენობით.

გ) 2012 წელს გორის მუნიციპალიტეტმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი⁷⁸ ქ. გორში სკვერებისა და გაზონების მოვლა-შენახვის მომსახურებაზე, სავარაუდო ღირებულებით - 143,0 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს - „მზიური ოცდამეერთე პლუსმა“ და შპს - „გორის კეთილმოწყობის სამსახურმა“. ვაჭრობის შედეგად დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „მზიური ოცდამეერთე პლუსმა“, რომელიც სატენდერო კომისიის მიერ დისკვალიფიცირებულ იქნა, დაზუსტებული ფასების ცხრილში რიგი შეუსაბამობების გამო.

⁷⁷ SPA120014489

⁷⁸ SPA120003740

კომისიამ დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ შეფასების პირველ ეტაპზე პრეტენდენტს არ მიუთითა არსებულ კონკრეტულ ხარვეზებსა და შეუსაბამობებზე და არ მისცა დოკუმენტაციის დაზუსტების საშუალება.

დ) 2013 წელს გორის მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა საინჟინრო-საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე⁷⁹. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ხალმა“. პრეტენდენტს წარმოდგენილი არ ჰქონდა ფასების ცხრილი და ანალოგიური მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიამ მოახდინა აღნიშნული პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ისე, რომ არ მისცა კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა დოკუმენტაციის დასაზუსტებლად.

ე) მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ რიგ ტენდერებში სამუშაოს/მომსახურების მიწოდების ვადები ზედმეტად შემჭიდროებულად არის განსაზღვრული. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როცა მიმწოდებლები ვერ ახდენენ დადგენილ ვადებში სამუშაოს შესრულებას და შეთანხმების საფუძველზე ხდება ვადების მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული პირობა ტენდერის მიმდინარეობის პროცესში აფერხებს კონკურენციას და ზღუდავს პრეტენდენტების მონაწილეობას, ვინაიდან მათთვის წინასწარ არ არის ცნობილი, მუნიციპალიტეტი შეთანხმების საფუძველზე გადასწევს თუ არა ვადას.

3. გზების რეაბილიტაცია

2012 წლის 25 მაისს მუნიციპალიტეტმა ტენდერი გამოაცხადა ქ. გორში შინდისის გზატკეცილის ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის მიზნით, ღირებულებით 1000,0 ათასი ლარი⁸⁰. ტენდერში იმავე ფასით გაიმარჯვა ერთადერთმა მონაწილემ - შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1-მა“. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო სხვადასხვა ტიპის 44 778 კვ.მ საგზაო სამოსის

⁷⁹ SPA130009700

⁸⁰ SPA120014696

რეაბილიტაცია, რაც გაუთვალისწინებელი სამუშაოების სახით 1258,9 ათასი კვ.მ-ით გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლის მიერ ჩატარებული საკონტროლო გადაზომვით, ასფალტის ჯამური ფართობი არ დადასტურდა. ამასთან, ხელშეკრულების პირობების თანახმად, მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა დასკვნა გზის საფარიდან ამოჭრილი ასფალტბეტონის გამოცდის შედეგების შესახებ, რომელიც აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება, რათა დადგინდეს შესრულებული სამუშაოების ზუსტი მოცულობა და ხარისხი.

4. საბანკო გარანტიების დაუკრედიტებლობა

გაფორმებული ხელშეკრულებების უმეტესობის პირობების თანახმად, მიმწოდებელს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში⁸¹, გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ უბრუნდება. მიუხედავად ამისა, შემსყიდველს მიწოდების ვადების დარღვევისათვის აღნიშნული მექანიზმი უმრავლეს შემთხვევაში არ აუმოქმედებია, რის გამოც მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი შემოსავალი.

5. არაეფექტიანი ხარჯი

- 2012 წლის 24 სექტემბერს შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციამ, გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებმა დააფუძეს ა(ა)იპ „შიდა ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტო“.

2012 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რის საფუძველზეც გორის მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად დაევალა 40,0 ათასი ლარის შეტანა იურიდიული პირის ანგარიშზე. 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტმა აღნიშნულ სააგენტოს სულ გადაურიცხა 50,0 ათასი ლარი, მათ შორის, 2012 წელს 10,0

⁸¹ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა და სხვ.

ათასი ლარი. წესდების თანახმად, სააგენტოს მიზნებს განეკუთვნება შიდა ქართლის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესწავლა, მდგრადი თანამშრომლობის ქსელის დაარსება ინსტიტუციონალურ მოქმედ პირებსა და ბიზნეს-სააგენტოსთან ადგილობრივ, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე, შესაბამისი წინადადებების შემუშავება რეგიონალური განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველობასთან და გუბერნატორის ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობით და სხვ.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოდგინა ინფორმაცია სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და აგრეთვე რა სიკეთე ნახა მუნიციპალიტეტმა მის მიერ განხორციელებული დაფინანსების შედეგად. შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯი სავარაუდოდ არაეფექტიანად იქნა გაწეული.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, გორის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების განმავლობაში გაწეული საქმიანობა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს.


აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

წამყვანი აუდიტორი:

ზურაბ ჩაფიჩაძე



ხელმოწერა 24.12.2014, თარიღი

უფროსი აუდიტორი:

გიორგი შურღია



ხელმოწერა 24.12.14^წ თარიღი

აუდიტორი:

ლია გუჯაბიძე



ხელმოწერა 24.12.14^წ თარიღი

აუდიტორი:

თეა უდესიანი



ხელმოწერა 24.12.14^წ თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:

თამარ კუხიანიძე



ხელმოწერა 24.12.14^წ თარიღი